KA030148038696618

№ 01-3150/ს **27 / სექტემბერი / 2018 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზაზა ბოხუას

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის
მარიანა მკურნალის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის "გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიი მხარდაჭერა" ფარგლებში, 2018 წლის 1-3 ოქტომბერს ავსტრიაში, ქ. ვენაში დაგეგმილია ტრენინგი გენდერული ბიუჯეტირების საკითხებზე.

აღნიშნულ ტრენინგში მონაწილეობის მიზნით წარდგენილნი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი მაია გოტიაშვილისა და ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და აპარატის საქმისწარმოების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მაია ნიკოლეიშვილი.

მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურდება ევროკავშირის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ ქალბატონი მაია გოტიაშვილისა და მაია ნიკოლეიშვილისათვის მივლინების ბრძანების გაფორმებას 2018 წლის 30 სექტემბრიდან 4 ოქტომბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მარიანა მკურნალი